# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

**ფ ა ს ი:**

წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი

**ცალკე ნუმრის ერთი შაური.**

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 133

წელიწადი მეორე

1913

კვირა, 1 სექტემბერი.

**მისამართი:** Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ“.

ტელეფონი № 149.



კნეინა ციცუ და შვილები იმისი გრიგოლ, კოსტანტინე, ლევან, ნიკოლოზ და დავითი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი მეუღლის და დანარჩენნი ძვირფასი მამის

## თ. გრიგოლ კოსტანტინეს ძის დადიანის

გადაცვალებას, დაკრძალვა და უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია სამშაბათს, 3 სექტემბერს სოფ. ხორშში.

---

ანასტასია დიმიტრი ბაქრაძის ასული და დები მისი ეკატერინე აბდუშელიშვილისა და სოფიო ჩხატარაშვილისა ქმრებითა და შვილებით სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ, დაესწროთ საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში მათი ძვირფასი ძმის

## კოტე ბაქრაძის

გადაცვალებიდან ერთი წლისა, და მისი ასულის

## პატულიას

გადაცვალებიდან ორი წლის წირვასა და პანაშვიდს კვირას, 1 სექტემბ.

---

30 აგვისტოს ქ. ქუთაისში მძიმე და ხანგძლივ ავათმყოფობას შემდეგ გადაიცვალა პრაპ.

## თ-დი შამშე (იგივე დიმიტრი) ივანეს-ძე მხეიძე,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მწუხარებით გულდათუთქულნი ძმა თავ. ვლადიმერ (იგივე ბარდღა) ივანეს-ძე მხეიძე და კნეინა ალექსანდრა (იგივე გინატრე) ივანეს ასული ჩიჩუასი, რძალი ოლგა ნიკოლოზის ასული მხეიძისა და ძმისწულნი სოფიო ჯაყელისა და თ-დი მხეიძის ასული ნინო.

დასაფლავება დანიშნულია ახალსენაკში, სამშაბათს 3 სეკტემბერს, ნაწირვებს, წმ. გიორგის ეკლესიაზე პანაშვიდი ყოველ დღე.

---

ქვრივი ივლიტე, თ-დი დავით წულუკიძის ასული ნიჟარაძისა, დავით დიმიტრის ძე ნიჟარაძე, გვიტია სანადირაძისა, ლიდა მგალობლიშვილისა, ნინო ნიკო ლაიშვილისა, ოლღა ნიჟარაძისა და ეკატირინე ნიჟარაძისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 28 აგვისტოს ქ. ქუთაისში ხანგძლივი ავათმყოფობას შემდეგ გადაიცვალა: პირველის საყვარელი მეუღლე, მეორის, მესამესი, მეოთხისა და მეხუთის ძვირფასი ბიძა, მეექვსის დაუვიწყარი მაზლი ხოლო მეშვიდის ქმრის ბიძა

## თომა გიორგის ძე ნიჟარაძე.

ცხედარს გამოასვენებენ საკუთარი ბინიდან პირველ სექტემბერს, კვირას, დილის ცხრა საათზე. დაკრძალვა მოხდება თავარანგელოზის სასაფლაოზე ნაწირვებს.

---

## განცხადება.

რუსის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების ქუთაისის სააგენტო, რომელიც იმყოფება ვარანცოვისა და პუშკინის ქუჩების კუთხეში, ამით აცნობებს, რომ 10 სეკტემბერს ამა 1913 წელს, ძმათა გოკიელების სახლში, მისი საქონლის საწყობში დანიშნულია მეორედ

## საჯარო ვაჭრობა;

გაიყიდება ფართლეულობის საქონელი, გამოგზავნილი მოსკოვიდან კონოსამენტებით 5 და 16 თებერვალსა ამა 1913 წელს №№ 3621,3772 რომელიც პატრონების მიერ 802 და 810 §§-ბის ძალით თავის დანიშნულ ვადაზე არ არიან გამოყიდულნი.

საქონლის დათვალიერება შეიძლება თვით ვაჭრობის დღეს დილის 10 საათიდან.

---

## ОБЪЯВЛЕНІЕ.

Кутаисское агентство русскаго общества Пароходства и Торговли симъ объявляетъ, что 10 сентября сего 1913 года въ складѣ его на углу Воронцовской и Пушкинской улицѣ въ д. Бр. Гокіеловыхъ назначены вторые

## торги на продажу

мануфактурныхъ товаровъ, прибывшихъ изъ Москвы по коносаментамъ отъ 5 и 16 февраля 1913 года за №№ 3621,3772, за непринятіемъ ихъ получателями въ установленный §§ 808 и 810 уст. общ. срокъ.

Желающіе торговаться могутъ осмотрѣть продаваемые товары въ день торга съ 10 ч. утра.

---

კინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროსებს

## პაროსი

25 ცალი 3 შ.
10 — 6 კ.

იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნით და საუცხოვო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.**

ტ ფ ი ლ ი ს შ ი.

---

## 1913 წლის 1 ეკენისთვიდან

ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე პროვიზ. ფ. ა. რელიგიონის სახლში, თეთრ ხიდთან გაიხსნება

## პირველი კერძო საავათმყოფო

**სპეციალისტი აქიმებისა მუდმივი საწოლებით.**

საავათმყოფო მოახდენს ანალიზს: შარდისა, ნახველისა, სისხლისა და სხვ. ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა, კონსულტაციურათ 606 და 914 შესხმა. არის განკერძოებული ოთახები მძიმე ავათმყოფთა და მშობიარეთათვის. მუდმივი მორიგეობა აქიმებისა.

დამფუძნებელი აქიმები:
აქ. გ. ა. ჭოღოშვილი,
— გ. ს. ნადირაძე,
— მ. დ. ბეთანელი,
— დ. ი. ჯაფარიძე.

---

## განცხადება.

მაქვს პატივი ვაცნობო ქუთაისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამ 1913 წლის 25 მარიობისთვიდან.

**ქალთა პროფესიონალურ შკოლაში**

დაიწყება ბავშების მიღება დილის 9-2 საათამდი. წლიური გადასახადი განყოფილებებში 20 მან. კლასებში-კი 25 მანეთი. წელს გაიხსნება მე-3-მე კლასი.

შკოლის უფროსი მ. დუნდუა.

**შკოლის მისამართი:** ობორინის შესახვევი სტ. ფირალოვის სახლებში.

---

## ქუთაისის საფირჩხიის სამზრუნველო

## კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ 15 ეკენითვეს, დილით 11 საათზე, ამ სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობით გაცემა:

**საფლავების გაჭრისა, სასაფლაოს დაცვისა და სხვა..**

ვაჭრობის დროს საწინდრათ საჭიროა 200 მ. დაწვრილებით პირობების გაცნობა შეიძლება ბ. იაკობ გ. ჩიმაკაძესთან, სახაზინო პალატაში.

---

## ახალი უვნებელი საშვალება

## რძე პირისახისათვის „ნ ე ტ ტ ი“

ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.

არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმჭამლებს; გადაყავს ნამზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ურჩევ აგრეთვე მამაკაცებს ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე. მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თბილისში ლიბიხის აფთიაქი ს. ს. ნადარეიშვილი. ფასი ერთი მანეთი. განყოფილება ქ. ქუთაისში აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სკიდკა. აფთიაქის მაღაზია პ. ა. შავერზოვი.

---

## აქიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

**ლებულობს შინაგან, ბავშებისა და ნერვების ავათმყოფებს.**

## იქვე დიაგნოსტური კაბინეტი.

გამოკვლევა **შარდისა** (ვენერიული, ბუშტის, თირკმლების, შაქრის, ქარებისა ტ თირკმლების, ქვისა და ხრეშის ავათმყოფობის გამოცნობა).
**ნახველისა** (ჭლექი, ფილტვების ანთება, ინფლუენცა, აკტინომიკოზი და სხვ..)
**სისხლისა** (მალარია, ტიფი და სხვადასხვა გვარი უსისხლობა).
**კუჭის სითხისა** (კუჭის კატარი, მისი მუწუკი, კიბო და სხვა).
**ესკრემენტებისა** (ნაწლევების პარაზიტებზე და მის კვერცხებზედ).
**ჩირქისა** (ჭლექი, დიფტერიტი და სხვა).
**ქალის რძისა.**

**ადრესი:** პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის ზევით.

---

შინაგან სნეულებათა **ა ქ ი მ ი**

**ნიკ. ივ. შენგელია.** მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

---

**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

---

**ა ქ ი მ ი** კ. თ. ტყეშელაშვილი.

ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

---

## აქიმი ი. ჩარექოვი

იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

---

**აქიმი** კ. ი. აშიანცი დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა. ივანოვის ქ. პ. აშიანცის სახლი.

---

## ქირავდება

ერთი ოთახი მეორე სართულზე ბალახვანის ქ. სახლი პ. ბოჭორიშვილის მსურველს შეუძლია მიმართოს იქვე ეზოში.


## რუსული პრესა.

რუსული გაზეთები კვლავ განაგრძობენ წერას კავკასიაში მეფის მოადგილის უქვეშევრდომილესი მოხსენების შესახებ. გაზეთი „დენი“ სწერს:

„მეფის მოადგილის შეხედულება სრულიად არ განსხვავდება საშინაო პოლიტიკის მწარმოებელთა შეხედულებისაგან. როგორც ეს უკანასკნელნი, მეფის მოადგილეც აგრეთვე საჭიროდ სცნობს, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება განაპირა ქვეყნებში იყოს მკაცრი და დაურღვეველი. ამ იდეიას კავკასიაში სხვერპლათ მოუტანეს ადგილობრივი მცხოვრებთა უმრავლესობა, რომელნიც ცეცხლს მისცეს ეჭვის გამო, რომ ვითომ იგინი ყაჩაღებს ხელს აფარებდენ. ძნელია პრინციპიალური განსხვავების გამონახვა მეფის მოადგილესა და პეტერბურგის კანცელარიათა შეხედულებაში სარევოლიუციო მოძრაობაზე: ციმბირში გადასახლებულთა უდიდეს პროცენტს კავკასიელები შეადგენენ, რომელნიც ზოგჯერ მხოლოდ ეჭვით არიან დაპატიმრებული, როგორც რევოლუციონერები.

თუმცა ესეთ პრინციპიალურ სოლიდარობას ხედავს გაზეთი მეფის მოადგილესა და პეტერბურგის კანცელარიათა შორის, მაგრამ არ უარყოფს, რომ მართვა-გამგეობის წესი განსხვავებულია, რადგან:

რუსეთის თანამედროვე შინაური პოლიტიკის ლეიტმოტივი დოგმატიური ნაციონალიზმია, სახელმწიფო ნაციონალიზმი, რომელიც ანგარიშს არ უწევს არც ადგილობრივსა და არც საერთო სახელმწიფოებრივ „სარგებლობა-საჭიროებას“. ამგვარი ნაციონალიზმის თვალსაზრისით ყოველ „ინოროდეცს“ ისე უყურებენ როგორც სეპარატისტს“.

მეფის მოადგილის აზრით კი:

„რუსეთს არ შეშვენის სეპარატობის შიში იმ ადგილებში, რომელნიც სხვადასხვა ეროვნების ხალხითაა დასახლებული“.

შემდეგ ცენტრალური მთავრობის წარ-

იმერეთი № 133

მომადგენელთა ესე იგი დოგმატიკ ნაციონალისტთა დასახასიათებლათ გაზეთს მოყავს შემდეგი მაგალითი:

„სამი წლის წინათ კავკასიას იუსტიციის მინისტრი შჩეგლოვიტოვი ეწვია. სასამართლოთა მოსამსახურენი შეკრიბა და აფორიზმების მოყვარულმა სთქვა:

— კავკასიაში რუსული სასამართლო უნდა შევქმნათო.

მართლაც, მალე ამას შემდეგ თფილისის სამოსამართლო პალატის თავჯდომარეთ ლაგოდა იქნა დანიშნული და „რუსული სუდიც“ ამოძრავდა: ადგილობრივ მკვიდრ ახალგაზდა იურისტებს დაუწყეს დევნა-შევიწროება, ადგილობრივი მკვიდრი მოხელენი სამსახურიდან დაითხოვეს, პასუხისგებაში მიცემულთა ხშირი გამართლებისათვის მოსამართლეებს მკაცრი სასჯელით ემუქრებოდენ, ადგილობრივი პრესის წარმომადგენლებს, რომელთაც საზოგადოებრივი აზრის გამომხატველათ სცნობდენ, 129 მუხლის ძალით სჯიდენ და ასახლებდენ... და სხვა.“

„დენი“ დასძენს, რომ:

„უნივერსიტეტის გახსნის შესახებ საკითხის კავკასიის სასარგებლოთ გადაწყვეტა მეფის მოადგილის პირადის გავლენით მოხდა, მინისტრთა უმრავლესობის გადაწყვეტილების და სურვილის წინაალმდეგო“

# ახალი ამბავი.

✦ ილიას პანაშვიდზე დასასწრებლათ ქუთაისიდან თფილისს თავისი წარმომადგენლები გაგზავნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ, გაზეთი „იმერეთის“ რედაქციამ, თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკმა და ქართულმა გიმნაზიამ, ხოლო ქუთაისში წერაკითხვის საზოგადოებასა და გაზ. „იმერეთის“ თაოსნობით თავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი. პანაშვიდის წინ ღვდელმა ლეკვეიშვილმა სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა პოეტის სიდიადე და მისი მნიშვნელობა ჩვენი სამშობლოს განვითარების პროცესში. პანაშვიდს ხალხი ბლომათ დაესწრო. იყვენ წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილების გამგეობის წევრები პრესის წარმომადგენლები, ინტელიგენცია, ქალაქის გამგეობა, ბანკების მოსამსახურენი მუშები, ნოქრები, ვაჭრები, თავად-აზნაურობა მასწავლებლები, მოწაფეები, სტუდენტები და სხვ.

✦ გაზეთი „დენი“ იუწყება; დეპუტატ გეგოვანს დეპეში მიუღია, რომელშიც ატყობინებენ, რომ კლდეეთის საზოგადოების სასოფლო სამართველოსთან შორაპნის მაზრის უფროსის ბლხოვსკის ბძანებით 200 კაცია დაპატიმრებული. მაზრის უფროსი ხალხს ყაჩაღთა გაცემას სთხოვს, დარაჯები სოფლებს სცარცვავენ და ხალხს არბევენო. გეგოვანმა ყოველივე შინაგან საქმეთა მინისტრს მაკლაკოვს აცნობა, რომელმაც დეპეშით სთხოვა კავკასიაში მეფის მოადგილის თანაშემწეს ვატაცის საჩქაროთ გამოძიება მოახდინეთ ამ საქმის თაობაზეო.

✦ ქუთაისის გუბერნატორი ა. ი. სლავოჩინსკი თფილისს გაემგზავრა.

✦ ამ ბოლო ხანებში ქუთაისში საგრძნობლათ აგრილდა. ღამით სიცივეცაა.

✦ ქუთაისის თეატრში მომავალ საზამთრო სეზონის განმავლობაში რეგულიარული წარმოდგენების გასამართავათ დაარსდა ქართველ მსახიობთა ამხანაგობა. ამაში სამსახურის სურვილი განაცხადეს ქალებმა: ა. აპოლონიას, მ. ლოლუას, ლ. ლოლობერიძის ასულთა; ვაჟებმა: ი. ბარველმა, ა. მურუსიძემ, კ. მაჭარაძემ, ა, მგალობლიშვილმა, ნ, კანდელაკმა, ვ. სარელმა, ა. სანდალიძემ, დ. ჩარკვიანმა, ა. ჭელიძემ, შ. ხონელმა; სუფლიორი იქნება გ. მუმლაძე, სცენარიუსათ ს. ხურციძე, სამხატვრო ნაწილის გამგეთ მოწვეული იქნება ჩვენში კარგათ ცნობილი ბელეტრისტი დავ. კლდიაშვილი. შემუშავებულია საგასტროლო სისტემის პლანი. ასეთ გასტროლებისათვის მოწვეული იქნებიან ქალთაგან: ტ. აბაშიძის, ო. ლეჟავას, ნ. დავითაშვილის, ეფ მესხის ბ. რონელის ასული ვაჟთაგან: ვ. აბაშიძე, ვლადიმერ ალექსი—მესხიშვილი, ვალერიან გუნია კ. მესხი. რეპერტუარის შესადგენათ განსაკუთრებული კომისიაა არჩეული, რომელსაც დაევალა რეპერტუარის შედგენა, სადაც უმთავრესი ყურადღება ექმნება მიქცეული ჩვენი დრამატურგების ახალ ორიგინალურ პიესებს. სხვათა შორის დასახელებულია წარმოსადგენათ ქუთაის სცენაზე ჯერ წარმოუდგენელი ახალია პიესები, მაგალითად: ნინო ნაკაშიძის მეუღლის „ვინარის დამნაშავე?“, შიუკაშვილის—„მთის ზღაპარი“, „ნაგავი“; გედევანიშვილის „ოჯახი“ და სხვა. აგრეთვე გადაწყვეტილია თეატრში უკვე არსებული ფასების შემცირება ყველა ჩვეულებრივი წარმოდგენებისათვის. ამხანაგობა სეზონის სამზადისს 3—ს ეკენისთვეს შეუდგება.

✦ მიწისმოქმედების სამინისტრო ოზურგეთის მაზრაში, ნოტანებიდან 16 ვერსის მანძილზე ჩაის ქარხანებს მართავს. საქარხნო სადგომის შენობას უკვე შეუდგენ.

✦ ბაქოს ქართულ შკოლაში სწავლა 2 სეკტემბერიდან დაიწყება. მოწაფეთა ვიღება 28 აგვისტოდან დაიწყო.

✦ 10 სეკტემბერს ქუთაისში თფილისის სამოსამართლო პალატის სხდომები დაიწყება. ამ დღეს გაირჩევა მელიტონ გობეჩიას პოლიტიკური საქმე. სასამართლო 14 სეკტემბრამდი დარჩება ქუთაისში.

✦ საკოოპერაციო ბიუროს შემადგენლობაში შევიდენ ახალი ამხანაგობანი: ფოთის „ეკონომია“ და კაპანის—„იმედი“.

✦ 22 ეკენისთვეს ქუთაისში დ. ჯაში წაიკითხავს ლექციას ილია ჭავჭავაძის ცხოვრების შესახებ.

✦ გიორგი მეფარიშვილს ქართულსა და რუსულ ენაზე დაუწერია მეცნიერულ-ფილოსოფიური თხზულება: „სიცოცხლის დირებულება“. ავტორი ამ შრომაში ამტკიცებს ოპტიმისტური თეორიის მეცნიერულ საფუძვლიანობას. იგი ეხება თვითმკვლელობისა და ვეგეტარიანოპის ფილოსოფიას სიცოცხლის ღირებულების თვალსაზრისით. ამ საინტერესო შრომას ბ-ნი მეფარიშვილი ამ მოკლე ხანში საჯარო ლექციათ წაიკითხავს ქუთაისში.

✦ ნიკ. ჩიკვაიძის მზარეულს სილიბისტრო ბეროძეს 80 მანეთად ღირებული ნივთები მოუპარავს სახლის პატრონის შინ არყოფნის დროს. ნივთები აღმოუჩენია მაძებარი პოლიციის მოხელეს ლიაპკინს და „გოროდოვოი“ ნაჭყეპიას მეეტლე ბეროძის სახლში.

✦ გროზნაში გაფიცვის შესახებ შემდეგი ცნობა მოგვივიდა: 27 ამ თვეს გაიფიცა ლუდის ქარხნის „ვენას“ მუშები. ჩუმბიხსაროვისა და მოლატის თუჯის ჩამოსხმელ ქარხნებში 546 მუშა გაიფიცა. გაფიცვა ნავთის მუშებზეც გადადის.

✦ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ოქმი შეუდგინა ყასაბ პ. არჯავანიძეს წამხდარი ხორცის შენახვისთვის.

# ფიქრთა მორევში.

ექვსი წელიწადია მას შემდეგ, რაც ქართველობა წიწამურის ტრაგედიის მოწმე გახდა და მით ეროვნული სირცხვილი იგემა.

საქართველოს ბევრი გლოვის ზარი მოუსმენია, ქართველ ერს მრავალი შავი დღე გაუვლია,...

მაგრამ ამ ჭირისა და უბედურობის მზგავსი არაოდეს...

ჩვენი მრავალ-ტანჯული ქვეყნის ცხოვრებაში, მის შავ-ბნელ მატიანეში ბევრია მისი მოთხრობა, რომ ციხე შიგნიდანაც გატეხილა, სხვადასხვა ჭირი ჩვენზე უცხო ხილი არ ყოფილა.

წიწამურის მეხის დამადარი ქართველ ერს თავს არ დასცემია.

ილია ჭავჭავაძე დიდი ეროვნული ციხე იყო და, ვაი-მათ, ვინც ამ ციხის შიგნიდან დამხობით ეროვნული გრძნობის სიწმინდისა, ეროვნული სულის სილამაზისა, ეროვნული გულის სიმდიდრის დამხობას ფიქრობდა.

გლახის ნაამბობათ, გლახაკთა მიერ ჩადენილ სივერაგეთ მეოჩვენება იგი ჩამომავლობას.

წინაწურის ტრაგედია ქართველი ერის ცხოვრებაში ისეთი იარაა, იმდენათ მწვავე წყლულია, რომ ვიდრე, ამ ერს სული ედგეს, არ მოშუშდება ეგ იარა, არ დაამდება წყლული.

სინანული, შენდობისთვის თაყვანისცემა გვმართებს იმ კაცი-ადამიანის საფლავის წინაშე, ვისაც ასე უკაცურათ, ასე არა-ადამიანურათ მოვეპყარით...

მუხლთ მოვიყაროთ, ქედი მოვიხაროთ!

და შევვინდობს სამოცდათუთხმეტი წლის მოხუცი, რომელიც ტკბილი ხმებისთვის მოგზავნილი იყო ზეცის მიერ და ჩვენ კი ასე მწარეთ მოვეპყარით.

უყვარდა ერი, უყვარდა ქვეყანა თვისი, ეს სიყვარული გვიანდერძა ჩვენც...

და ამის წილ რა ვარგუნეთ?!

რა ვუანდერძოთ ჩამომავლობას?!

**დ. მესხი.**

# დეპეშები.

ვენაში სიონისტთა 11-ე კრება დასრულდა. კრებამ იერუსალიმში უნივერსიტეტის დასაარსებლათ კომისია აირჩია.

— სერბიის მეფემ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიც განსაზღვრულია ბულგარეთთან, ალბანეთთან, მთაშავეთთანა და ბოსნია-ჰერცოგოვინასთან საზღვრები.

— ურგას მცხოვრებნი ჩინეთისგან გამოყოფის გამო უკმაყოფილებას აცხადებენ.

— ნემიროვიჩ დანჩენკოსთან უთანხმოების გამო სტანისლავსკი თავს ანებებს სამხატვრო თეატრს.

— იაპონიამ ჩინეთში იაპონელების მოკვლის გამო ჩინეთს კატეგორიული ხასიათის მოთხოვნილებანი წარუდგინა.

— თავრიზში დიდი შიმშილობაა.

— იაპონიაში მიტინგი გაიმართა, და ხალხმა მოითხოვა ჩინეთის წინაალმდეგ ჯარის გაგზავნა.

— სერბია, საფრანგეთის ბანკებისგან 125 მილიონ მანეთს სესხულობს.

— ბუდაპეშტში ხალხის [illegible] 27 კაცი გახდა ავათ.

— სერბია და მთაშავეთის მ[illegible] რიკები საიდუმლოთ ეწყობიან.

— სტამბოლში ბერძენთა და ოსმ[ალ]თა კონფერენცია გაიხსნა.

— ცნობაა—ბულგარეთმა ორი ვიზია ჯარი ისევ შეაგროვაო.

— ციურიხში გაფიცულ მუშებს პოლიციელებს შეტაკება მოუხდათ.

— რუსეთი დათანხმდა, რომ იაპ[ონე]ლებმა ნანკინი აიღონ.

— პეტერბურგში მუშათა გა[ზეთი] „ახალი გზა“ დახურეს.

— ლონდონის სომეხთა კომიტ[ეტის] წევრები მოსკოვს მივიდენ.

— ფრაკიაში მცხოვრებმა მამადია[ნებ]მა დასავლეთი ფრაკია დამოუკიდებ[ლათ] გამოაცხადეს და დროებით მთავრობა აღგინეს.

# სარწყავი არხის გაყვანის საკ[ითხი] ქუთაისის მიდამო სოფლებ[ში]

როგორც ამ წინაზე იყო გაზეთ „[იმე]რეთში“ მოხსენებული, რამდენიმე [პი]მონდობილება მივიღეთ და გავემგზავ[რეთ] თფილისს იმის გასაგებათ თუ რა მდ[გო]მარეობაშია სოფ. ქვიტირსა, მაღლ[აკ]სა და ფარცხანაყანევში მდ. რიონიდან წყავი წყლის გადაყვანის საკითხი: [სა]ქმე ამ სამი-ოთხი წლის წინათ იყო ძრული და მის შესახებ სხვადასხვა [ხმე]ბის გარდა ნამდვილი არვინ იცოდა.

ჩასვლისთანავე ჩვენ მივმართეთ სა[...]ნადო დაწესებულებას წყლის სამარ[თვე]ლოს. ვინახულეთ ინსპექტორის მო[ად]გილე, იგივე ამ დაწესებულების იუ[რის]კონსულტი, (თვით ინსპექტორი საავ[ად]კოდ იყო წასული). ვინახულეთ ინ[ჟინე]რები, ტეხნიკები და სხვა საჭირო [პირე]ბი. ყველა ამათ დიდის ყურადღებით [და] თანაგრძნობით შეხვდენ ჩვენს მოხსენ[ებას], გადაგვიშალეს მთელი საქმეები, [...]ლებით გაგვაცვნეს უკვე დამთავრ[ებული] პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, გა[...] ღეს და მოგვცენ საჭირო პირები [და] სხვა.—სამმი დღე დავყავით თფილ[ისში] და ყოველ დღე ორი-სამი საათი ჩვენთან ერთად ჩვენს საქმეზე მსჯ[ელო]ბდენ.

ეჭვი არ არის—ჩვენში წყლის გ[აყვა]ნის საკითხს ისინი ძლიერ დაუინტ[ერე]სებია და სრული იმედია მომავ[ალში] დიდ დახმარებას გაგვიწევენ, თუ ხ[...]

# ბუნების წიალზე.

**გაკვრით ფიქრები და შთაბეჭდილებანი.**

(გაგძელება).

სამხედრო-ოსეთის გზა ერთი უმშვენიერესი, მრავალ მხრით დიდათ საინტერესო გზაა მთელს კავკასიაში. განთქმულ სამხედრო-საქართველოს გზასთან შედარებით, ბევრს უპირატესობას პირველს უთმობს. ამ გზის სანახავათ მოდის არა მარტო უბრალო ტურისტი, დილეტანტი მოგზაური, მას ამ უკანასკნელ ხანებში ეტანებიან მეცნიერნი, მკვლევარნი, რომელთა აღტაცებას საზღვარი არა აქვს.

ხოლო ამ გზაზე ტურისტების საყვარელ ადგილათ წეის სკორე*) გადაქცეულა. ისე ტურისტი ძაუგიდან არ დაიძვრის, რომ გზიდან განზე არ შეუხვიოს და ეს მართლაც შესანიშნავი სკორე არ ინახულოს, რომელიც გზიდან 14 ვერსის მანძილზეა.

მაგრამ რამდენათ გარემოცული ბუნება დიდებულია სილამაზით, უხვათ შემკული, იმდენათ თვით გზა მგზავრზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. გზა, რომელიც არა ერთი ათეული წელიწადი არსებობს, რომელიც ორი გუბერნიის ცენტრებს აერთებს, დღესაც პრიმიტიულ მდგომარეობაშია იმდენათ რომ ერთჯერ მასზე სიმწარის მნახველს, ვგონებ, სამუდამოთ დაუკარგოს ხალისი კვლავ მისი ხილვისა. ჩვენ პირადათ, მთელი ჩემი ოჯახი, ლაშის სიცოცხლეს არ გამოვესალმეთ ამ გზის წყალობით. გიკვირთ, არ გჯერათ, როგორ შეიძლება ასეთი დანაშაულობა, ასეთი დაუდევრობა ყოველ ნაბიჯზე ისეთი გზის მიმართ, რომელიც ყოველ კულტურულ სახელმწიფოში განსაკუთრებული ზრუნვათა საგანი იქნებოდა, რათა ბუნების შვენება, მისი თვალწარმტაცი სიტურფე ყოველს ადვილათ, უხიფათოდ ეხილა, რათა ყოველი მითი უსაზღვროთ, სავსებით დამტკბარიყო.

და რაც ახლა არის, ღმერთმა გაშოროსთ! სამხედრო-ოსეთის გზა ელემენტარულ მოთხოვნილებას გზის ტეხნიკისას ვერ აკმაყოფილებს, მიუხედავათ იმისა, რომ გზა იგი სახელმწიფოა—მას მთავრობის მოხელენი განაგებენ. აი, როდის გაგონდება ერობა! ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ ადგილობრივი მკვიდრნი, ერობის სახით, გაცილებით უკეთ გააკეთებდენ, შეინახავდენ ამ გზას, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ გზა სოფლის კეთილდღეობის ქვაკუთხედია, რომ გზა დიდი ეკონომიური ძალაა. და სადაც მშრომელი ხალხის ეკონომიურ მდგომარეობაზეა საქმე, იქ მთავრობის იმედით შორს ვერ წავალთ.

* * *

მშვენიერი მზიანი დილა იყო, რომ ამ გზით წეის სკორესკენ გავემგზავრეთ უწერიდან.

თოვლ-ყინულიანი ნოწარა თქვენ თვალს ერთხანს არ შორდება. უცქერით მას სხვადასხვა მხრით, უფრო ახლო, უფრო მოშორებით, და თქვენ უფრო და უფრო რწმუნდებით, რომ ნოწარა, ზოგგან მაინც, იშვიათი სანახაობაა. რა თქმა უნდა, ის არ არის თეთრთმიანი იალბუზი, ის არ არის მყინვარი, „სადაც ორბნი-არწივნი არ შეხებიან“, და ან სხვა ამათ მზგავსნი კავკასიის გოლიათი, მაგრამ ფიჭვ-ნაძვნარში გახვეული, ტანმორჩილი, თუმც კოპწია და კეკლუცი ნოწარასა თვალს უფრო ესალმუნება, ვიდრე მრისხანე დიადი მწვერვალნი კავკასიონისანი. მას რომ ვუცქერი, რაღაც სულიერ შვებას, სიტკბოებას, კმაყოფილებას ვგრძნობ. ვინ იცის, ეგებ იმიტომ, რომ რაც ახლოა, ის უფრო გიყვარს, უფრო მოგწონს, და არა იმიტომ, რომ მცირე, უჩინარი რამ ბუმბერაზის ტოლათ მიგაჩნდეს...

* * *

პირველი სოფელი, რომელიც უწერიდან წეის სკორესკენ გხვდებათ, გლოლაა.

აგრეწოდებულ გლოლის სახაზინო ხიდს შემდეგ, რომელიც უწერიდან მეშვიდე ვერსზეა, თქვენ სტოვებთ რიონს და ჭანჭახის წყლის პირათ მოდიხართ მის სათავემდი.

ამ ხიდს რომ გასცილდებით, გზა ტყეზე გადადის. ტყე ნაძვნარია, რომლის სუნი მზეზე გცემთ. აქა იქ სხვა ხეებიც არის. აქ რომ ნაძვები ვნახეთ, იმის მზგავსი მე არსად მინახავს: ეს რაღაც უზარმაზარი გიგანტებია, არაჩვეულებრივი სიმაღლისა და ტანისა. სიცრუე რომ არა ვსთქვათ, ერთ ხეში სიგძით ოთხი ჩვეულებრივი სიმაღლის ხე გამოიჭრება. ეს იშვიათი ღირებულების ტყე სახელმწიფოა და, როგორც ყველა სხვა ტყე ამავე მესაკუთრისა, მოუვლელობით ერთიანათ ფუჭდება და ისპობა უარარაოთ, ისე, რომ ვერც გლეხობა სარგებლობს და ვერც ხაზინა. „აქ ტყუილ-უბრალოთ ლპება ამოდენა ძვირფასი ხეები,—შემომჩივლეს აქაურმა გლეხებმა,—და ჩვენ კი, საწყალ ხალხს, ნება არა გვაქვს ამ ტყით უსასყიდლოთ ვისარგებლოთ! ეს არის სამართალი“?! ყოველ მესაკუთრეს კერძო საკუთრების ხანაში, და სხვათაშორის სახელმწიფოსაც, რა თქმა უნდა, არ ეკრძალვის თავისი საკუთრება დაიცვას, გამოიყენოს, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ხაზინა თავის საკუთრებას—ტყეს ისე იცავს, რომ ხშირად ვერც თვით სარგებლობს და სხვასაც არას არგებს. ამ შემთხვევაში განა არ სჯობია გამოაცხადოს თავისუფალი შესვლის ნება ტყეში გლეხკაცობისათვის, ისე კი, რასაკვირველია, რომ სატყეო მეურნეობის რაციონალურ სისტემის წესები, შეძლებისამებრ, დაცულ იქნას? თვარა ახლა რასა გავს? ტყე, მაგ., გლოლის ძვირფასი ტყე ოხრდება, ტიალდება, ლპება მრავლათ უზარმაზარი ნაძვები, და იმავე დროს გლეხობა შურის თვალით შესცქერის მას და თან გულის სიღრმეში მალულათ უკმაყოფილებას, აშფოთებას გრძნობს პატრონისადმი.

მიუახლოვდით თუ არა გლოლას, ჩვენი რაჭველი მეეტლე მოგვიბრუნდა და გვითხრა:

— ნამდვილი სახელი ამ სოფლისა „გლოვაა“ და არა „გლოლაო“!—და თან მოკლეთ ერთი ისტორიული ლეგენდა გადმოგვცა:

— არჯინარგს ომი იყო. თამარ მეფე იმ დროს ჩერქეზებს, ქისტებსა და სპარსელებს ეომებოდა, ომის წინათ თამარ მეფემ დაიბარა. მე ამ ადგილს (ახლანდელ გლოვაში) შევჩერდები და ომის ამბავი,—თუ როგორ გათავდეს,—აქ მაცნობეთ შიკრიკის პირითო. ომი დასრულდა, შიკრიკი გლოლისაკენ გამოეშურა და იქ მყოფ მეფეს მოახსენა: „მეფევ, ომი ქართველების გამარჯვებით გათავდა. ყველაფერი კარგათ წავიდა, ოღონდ ჩვენი სპასალარი მხარგძელი მოგვიკლესო“. მეფეს ეს ამბავი ეწყინა და მყისვე .ბძანა—ამიერიდან ამ ად[გილს] „გლოვა“ ეწოდებოდესო... ხოლო დღეს „გლოვა“ „გლოლათ“ შესცვალ[ეს].

გლოლა, ღებთან შედარებით, [...] პატარა სოფელია. მასში 40 კომლ[ი] გლეხკაცობა მოსახლეობს. წინათ [...] ყოფილა, მაგრამ შავ ჭირს თითქმის [...]ლა მცხოვრები გაუწყვეტია. სოფ[ლის] უმრავლესობას გლეხთა გვარი შეად[გენენ] ბერიშვილები, ბიჭაშვილებს, და [...] რაძეები. ესენი არიან სოფლის ძირ[ეუ]ლი მკვიდრნი. თუ როგორ მოშენდა [სო]ფელი, ამის შესახებ ერთმა გლოლ[ელმა] გლეხმა შემდეგი მიამბო:

— აი იმ გორაზე თამარ მეფემ ე[კლე]სია ააშენა,—ხელით მიმითითა ერთ [პა]ტარა კონუსის მზგავს სერზე, რომე[ლიც] პირდაპირ სოფელს დაჩრებია და [...] მელზედაც ეკლესიის ნანგრევები დღ[ესაც] არის;—და ბძანა: აი, აქ სოფელი [...] გაშენდესო. ახლო-მახლო ადგილე[ბში] სამი ბერი გაჩნდა, რომელთაგან [...] ბერი ერქვა, მეორეს ბიჭი და მე[სამეს] ბაკური. წარსდგენ მეფესთან და მო[ახსე]ნეს: ჩვენ მზათა ვართ, მეფევ, აქ [და]სახლდეთ, სოფელი გავაშენოთ, ო[ღონდ] ქალების მოყვანის ნება დაგვრთ[ე]. მეფემ ნება დართო და აი ამათგან [გა]შენდა სოფელში ბერიშვილები, ბიჭ[აშვი]ლები და ბაკურაძეები.

გლოლას ღებთან და ჭიორასთან [ბევ]რი რამ საერთო აქვს. როგორც ვსთ[ქვით] ესეც ზემო რაჭის ყოფა ცხოვრების მახასიათებელი სოფელია. აქაც თავ[ისუ]ფალი, მძლავრი სოფელი მთიელთა, [...]ტი დამოუკიდებლობა, ზოგიერთი მე[...] ლი ნაშთი შორეული დროისა, რო[გორც] მაგ. თემური წესწყობილების კვ[ალი], პრიმიტიული შეხედულება ქორწინ[ებაზე] და სხ. და სხ.

*) ოსურათ—წეი-წათი, რუსულათ—Цейскій ледникъ და ქართულათ—წეის სკორე. ზემოთ შევთამით იყო დასტამბული წათის სკორე.

# ფიქრები სხვაგან.

ხვალ თუმც გნახავ, მაგრამ დღეს კი უსაზღვროა ჩემი სევდა,
არ მეგონა შენი ტრფობა ამდენ ტანჯვებს შემაჩვევდა...
ხვალ თუმც გნახავ, მაგრამ დღეს კი ვით გაუძლო ამდენ ვარამს?
მაგ შავ თვალთა სხივებისგან დღეს მანძილი ვერ მიფარავს?

არ ხარ ჩემთან, მაგრამ მაინც თვალწინ მიდგას სახე შენი:
წარბი თვალთა სამკაული, ღიმი ტუჩთა დამამშვენი,
ცხადათ ვხედავ გიშრის ნაწნავს, ბროლის მკერდზე გველათ ხვეულს,
დამათრობელ ვნებით სავსე სპიროს ძვლისგან ნაკვეთ სხეულს,

და რა ვუყოთ, რომ სხვაგან ვარ, რა ვუყოთ, რომ სხვაგან მივქრი,
თუ კი მხოლოდ შენთანაა ჩემი გრძნობა, ჩემი ფიქრი?
თუმც დავშორდი მაგ ადგილებს, თუმც დავშორდი მაგ მთა გორებს,
მაგრამ სულით სიცოცხლეო ჩვენ ვერავინ დაგვაშორებს!..

სახხერე 27 აგვისტო. **გუცა.**

---

...ეკავშირდა, გულით მოეკიდა საქმეს და არ შეუშინდა მუშაობასა და ხარჯს. ...როექტის შემუშავებაში მათ დიდი შრომა მიუღიათ და ამისთვის ხაზინის ფულიც ...ახარჯულა სამი ათას მანათზე მეტი. ...როექტი მშვენიერათაა შემუშავებული ...ა სარწყავი წყალი ისეა მოწესრიგებული, რომ ყოველ პატარა კუთხეს მოხვდება იგი და მთელს სამს დასახელებულ ...საზოგადოებაში, სადაც, რამდენიმე სოფელია და რომელიც შეიცავს ცხრა ...თას-ასს-სამ დესეტინა მიწას ერთი ალა...ი ადგილი არ დარჩება მოურწყავი. ...როექტი დაწვრილებით გვიჩვენებს საით და როგორ უნდა გაიაროს წყალმა, რომ მოხერხებულათ ისარგებლოს იმით ყოველმა მცხოვრებმა.—წყალი რიონიდან გადავა ორი მთავარი არხის საშვალებით: ერთი არხი გაიჭრება ასათიანის წისქვილთან და ეს წყალი მორწყავს ქუთაისთან ახლო-მახლო მდებარე ქვიტირის მიწებს; მეორე მთავარი არხი გაიჭრება რიონის ...კინის გზის ხიდთან, რომელიც თანდათანობით მოხრას ხონის გზა-ტკეცილისკენ და აქ შეუერთდება პირველ არხს. ეს მეორე არხი თავისი მტრებით რწყავს მთელ დანარჩენ ადგილებს. ორივე მთავარი არხებიდან წყალი გადადის გასავალ საშვალო და პატარა არხებში, რომლებითაც მოყვნილი იქნება მთელი მიდამოები ზემო და ქვემო ქვიტირისა, ზემო და ქვემო მაღლაკისა, ფარცხანაყანევის და მიწაწითელსა და დაბოლოს ყველა ამ არხებიდგან წყალი, ჩაერთვის გუბის წყალს. ეს პროექტი უკვე განხილულია და მოწონებულიც ინჟინერთა სხდომაზე, ასე რომ წყლის გადაყვანის ნებართვის მიღებას ბევრი აღარა უკლია რა. მართალია, არის ერთი პატარა იურიდიული დაბრკოლება, მაგრამ იმედია ამასაც ...ლე ვძლევთ, თუ ხალხი თანაგრძნობით მოეკიდება ამ საქვეყნო საქმეს.

საიდან უნდა გამოინახოს საჭირო თანხა, ვინ მისცა ჩვენს გაძვალტყავებულ გლეხობას იმოდენი შეძლება, რომ ეს უზარმაზარი საქმე განახორციელოს?

აი, მწვავე კითხვა, რომელსაც ასე გადაჭრით აყენებს საქმის ვითარება და რომელიც მეტად აშინებს მიწის ყოველ მეპატრონეს—ამის შესახებ შემდეგი უნდა ითქვას.—ეჭვი არ არის, როგორც საქმის ახლო გაცნობამ და ინჟინრებთან დაწვრილებით მოლაპარაკებამ დაგვარწმუნა, რომ ამ დიდი საქმის დამთავრება ბევრ ხარჯს გამოიწვევს და ფულით სოფლები ამას ვერც შეძლებენ. ხოლო თუ ხალხი შესაფერ მუშაობას თვით იკისრებს სამართლიანათ და მამულისა დაგვარად გაინაწილებს არხების გაყვანას, ...გირ-ხიდების დადებას და სხვას, რაც მათთვის მისაწდომი და შესაძლებელია, სრული დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ყველაფერი მოეწყობა და ქცევა ადგილზე ორი მანეთი რომ გამოიღონ,— ეს სრულიად საკმაო იქნება ყველაფრათ. ქცევაზე ორი მანეთი—ეს სულ დიდია და ამან არ უნდა შეაშინოს მიწის მეპატრონეები, რომელთაც მაგალ—წელს ოცი, ოცდაათი მანათიც კი დაკარგეს ქცევიდგან საშინელი გვალვის გამო. რა არის ორი მანათის გადახდა იმ საშინელი აჩრდილის ნაცვლად, რომელიც სიმშილის სახით კარს მოსდგომია ჩვენს სოფლებს და ვინ იცის რას უქადის? *)

დროა, ვისარგებლოთ მწარე გამოცდილებით, ვისარგებლოთ შემთხვევით, შევკავშირდეთ დიდი და პატარა, თავადი და აზნაური, ღვდელი და ერი. დროა, უკუვაგდოთ დამღუპველი პირადი ანგარიშები, დავივიწყოთ წვრილმანი კინკლაობა, გავხდეთ ერთსულოვანი და შევქმნათ დიდებული და საშვილისშვილო საქმე! ძნელი ასაწერია—რამდენი კარგი შედეგები მოყვება ამ საქმეს, თან რამოდენათ შეიცვლება ჩვენი სოფლის ბედ-იღბალი: სარწყავების გამოყვანით: განოყიერდება მიწა, იმატებს მისი ღირებულება, იმატებს მოსავალი, გამწვანდება საბალახოები, გაადვილდება შინაური პირუტყვის მოშენება, გაშენდება სხვადასხვაგვარი ბაღები, შემცირდება შრომა, თორმეტი ქცევა მიწის მაგიერ ხუთი საკმაო იქნება, რომ გამოიკვებოს ოჯახი, ერთი ორად დაფასდება შრომა და ცის ამარა არავინ იქნება დარჩენილი.—ამისთვის განურჩევლად წოდებისა შეძლებისა და მდგომარეობისა ყველა მეპატრონე ვალდებულია ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიიღოს, განზე არ გადგეს და საქმე არ დააბრკოლოს, ის, ვინც თავისი ჯიუტობით და უთანხმოებით ამ წმინდა ხალხის საქმეს გადაელობება მიუტევებელ ცოდვას ჩაიდენს ჯერ საკუთარ მერე ოჯახისა საზოგადოებისა და ჩამომავლობის წინაშე.

აუცილებლათ საჭიროა—ამ დიდ საქმეს აწი მაინც ვინმე გულწრფელი, უანგარო, საქმის მოყვარული და ენერგიული პირები ჩაუდგენ სათავეში, გაუწიონ ხელმძღვანელობა სოფლის ამორჩეულ რწმუნებულთ და სრულ მამობრივს მზრუნველობას უწევდენ ხალხს. საჭიროა, საქმის მეთაურნი ხალხის რწმენით იყვნენ აღჭურვილნი, საჭიროა არჩეულ იქმნას უმწიკვლო პირთაგან სარევიზიო კომისია, რომელიც მოითხოვს ყოველთვის დაწვრილებით ანგარიშს, დახარჯული კაპიკისაც კი. ხალხი შეშინებულია, უფრთხის გაფლანგვას, მოტყუებას და ჩვენც ვალდებული ვართ დავარწმუნოთ, რომ მათი ფულები მართლაც საქმეს მოხმარდება და არა კერძო ჯიბეებს.

მივმართავთ ყველა ზემო დასახელებული სოფლების შეგნებულ პირთ დაგვეხმარონ შეაგნებინონ ხალხს საქმის დიადი მნიშვნელობა, მისი დაუფასებელი სარგებლობა; ვსთხოვთ, აუხსნან მათ ამ საქმის ვითარება, დაარწმუნონ რამდენათ საჭიროა და საჩქაროც ყველასი მონაწილეობა და თანხმობა; გააფთხილონ საქმის გარეშე მდგომნი, რომ მათ დაყოვნებით შეიძლება სამუდამოთ დაკარგონ სარწყავი წყლის სარგებლობის უფლება და სხვა.

თვით ამ სტრიქონების დამწერი სხვებთან ერთად ეცდებიან გამოითხოვონ მთავრობის ნება-რთვა და ამ მოკლე ხანში შემოიარონ სოფლები, საუბარი იქონიონ ხალხთან ამ საქმეზე და საერთოდ გამოარკვიონ, როგორ და რა გზით შეუდგენ მას.

**ქ. ტ—ლი.**

*) ვცდილობთ საიდანმე ხანგძლივი სესხი ვიშოვოთ, ან კიდევ მთავრობას შემწეობა ვსთხოვოთ და თუ ეს მოხერხდა, მაშინ ხომ სულ ადვილათ განხორციელდება საქმე.

## რა ვნახეთ ზემო-იმერეთში

(წლევანდელი მოუსავლობის გამო)

გაგრძელება, იხ. იმერეთ. № 132

ავედი ბერეთისაში, რომელიც საჩხერიდან 15—17 ვერსის მანძილზე მდებარეობს. დავათვალიერე ნათესი. ამ სოფელში სხვიმისაც ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი მოუსავლობა ჯერ იქ არ მინახავს. ბერეთისის მცხოვრებნი სახაზინო გლეხებია, ცხოვრობენ მთის მახლობლათ, ადგილები ხშირად ქვა და კირნარევია, ან ყვითელი მიწა სილიანი და აყალო. თუმცა ნიადაგის უვარგისობის გამო ნათესი არასოდეს არაა სახარბიელო, ღვინო თითქმის სულ არ მოდის, და თუ მოდის ისიც ცხარე, მჟავე და ხალხი უფრო კირის დაწვას, აგურისა და კრამიტების კეთებას მისდევს, მაგრამ წელს განსაკუთრებით არაფერი აღარ იქნება.

—აგერ რამდენიმე თვეა, წვიმა არ ყოფილა. იმ სერის გადაღმა სოფელი ტყემლუანაა. იქით გადაყვა წვიმა და ჩვენსკენ კი წვეთი არ ჩამოვარდნილა.

სიმიდით გალონიერებული თუმცა აროდეს არ ყოფილვართ, მაგრამ წლევანდელი წლისთანა ღმერთმა ნურარაფერი გვაჩვენოს.

როგორც ბერეთისაში ისე არც მის მახლობლად მდებარე სოფლებში: კორბოულსა, ჯალაურთაში, უსახელოში, მანდეეთში, ნიგოზეთში და სხ. ყველგან ნათესი გადამხმარია და ვენახი გადამჭკნარი გვალვები არ ყოფილა., სოფ. ტყემლუანასა და მეჩხეთურში, მაგრამ ამ სოფლებში ისეც ნაკლებათ მოდის სიმიდი. ტყემლუანელი ხალხი უფრო გარშემო მდებარე სოფლებში მოსულის სიმიდით სარგებლობს. იშვიათია გლეხი, რომელსაც მოსავალი თიბათვემდი გაყვეს. ბევრი მოდის ქლიავი და სხ. ხილი. გადააქვთ იგი მახლობლათ მდებარე სოფლებში და სიმიდზე სცვლიან და რითაც იცხოვრონ ან გამოიკვებონ თავი ტყემლუანელებმა, როცა ქლიავში სიმიდს ველარ აიღებენ.

ვეწვიე ქორეთის საზოგადოებას. დავათვალიერე ყანები, არსად არაფერი. მივედი შეძლებული გლეხისას დავუწყე ლაპარაკი მოსავალის შესახებ:

მობძანდით და თქვენი თვალით ნახეთ. გადამიყვანა ვენახში, რომელიც საუკეთესო ადგილზეა გაშენებული მთელ სოფელში. ვნახეთ:—

ზოგგან ვაზებიანათ გაუხმია ვენახები სიცხეებს. თუ წასულ წლებში თითო ვაზს 4—5 მტევანი გამოქონდა, წელს ერთიც არაა, ან, თუ არის, მიმჭკნარი, მიმხმარი, გამოფშუტული:— შარშან ორასი კოკა*) ღვინო მომივიდა, წელს ორმოცდაათსაც დავჯერდები, მაგრამ ან ამდენი სად იქნება? თქვენი თვალით ხედავთ, რომ შარშან ამ დროს რთველს ვიწყებდით და წელს კი ღმერთმა იცის, როგორ იქნება საქმე. მართლაც, განგ ებ ვეძებეთ და საჭმელი ყურძენიც არ იყო.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ხსენებული გლეხის ცხოვრებას თითქმის მთელი სოფელი შენატრის, უმეტესობა ამ სოფლის მცხოვრებთა იმდენათ დაღარიბებულია, რომ „ლუკმა ჭადის ჭამა უჭირს“, როგორც აქ იციან თქმა.

—მადლობა ღმერთს, მე კიდევ იმდენი მაქვს შარშანდელი მაინც, რომ ოჯახს არ მომიშივდეს, მაგრამ სხვებმა, ჩემმა მეზობლებმა რაღა ქნან? შიმშილმა ახლავე იჩინა თავი. ამასწინათ მეზობელი მოვიდა და მთხოვა ერთი გოდორი ბზე მესესხებია, უარი უთხარი, რადგან ბზე მართლაც ნაკლებათ მქონდა და საქონელი კი ბლომათ მყავს. მეზობელი გულმოსული გაბრუნდა და ამ შემთხვევას შემდეგ, ორი დღეც არ გასულა, ჩემ საბძელს ცეცხლი გაუჩნდა, ბზეც გამოიწვა თივაც, ჩალაც და საბძელმაც თქვენი ჭირი წაიღო. ასეა, ბატონო, შიმშილობას ავკაცობა მისდევს, დამშეული კაცი მგელია, რასაც ნახავს, იმას ეტაკება და ამნაირათ ვაი ქონებას და ვაი უქონლობასო,—დასძინა ჩემმა მობაასემ. გადმოვიარე ბეინევი, ითხვისი, ჭორვილა, მერჯევი, საირხე, კალუათა, გორისა და ყველგან ერთი და იგივე სურათი: ყანები გადამხმარი, ვენახები გადამხმარი, ირგვლივ დაღვრემილი სახეები და საყვედურები. გაისმის ყრუ გმინვა, გლეხებს აკანკალებს მომავალი შიმშილობის მოლოდინში არ იციან რა ქნან, სად წავიდენ, ნაყიდით ...ვერ გამოკვებავენ თავს, და ან სასყიდელი ფული საიდან იშოვონ? ვისაც სოფელი არ უნახავს და სოფლის ცხოვრებას არ დაკვირვებია, იმას შეიძლება ბევრი რამ გადამეტებულათ ეჩვენოს, საკმარისია დამშეულ სოფელში იცხოვრო, რომ გაიცნო და განიცადო ის საშინელება და ბოროტება, რომელიც შიმშილობას მოსდევს. სწორეთ ამ დროს იჩენს თავს სოფელში ავაზაკობაც, ავათმყოფობაც და ათასი სხვა ჭირი.

ქორეთის საზოგადოებაზე ნაკლებ საშინელი დღეები არ მოელის არც არგვეთის საზოგადოებას იგი კიდევ უფრო მეტათ კრიტიკულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, რადგან გვალვებთან ერთად ამ საზოგადოების ზოგიერთ სოფელში არც მიწის ნიადაგია ნაყოფიერი. თითქმის არაფრის იმედი აღარაა ისეა ყანები გადამხმარი და გაოხრებული, სიმიდი თითო გოჯს ვერ ასცილებია, ძირშივეა გამხმარი და გამოფიტული.

**იმერი.**

(დასასრული იქნება).

*) კოკა ღვინო ზემო იმერეთში ორფუთ-ნახევრამდეა.

## ხმა მოსკოვიდან.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

ამ ზაფხულს მიყუჩებულ აკადემიურ წელს სიცოცხლე ეტყობა. ყველა უმაღლეს სასწავლებელში ახალგაზდა სტუდენტების ჩარიცხვა და მისაღები გამოცდანი დაიწყო. წრეულს მოსკოვს დიდძალი ახალგაზდობა მოაწყდა. ყოველი ქუჩა ოთახის მძებნელი სტუდენტობით გაიჭედა. სუყველა ოთახს დაეძებს, მაგრამ ოთახის სიძვირე საშინელ მდგომარეობას გვიქადის. თუ შარშან და შარშანწინ 15—20 მანეთად ოთახს იშოვიდი, წელს ეს მხოლოდ მოგონებათ გადაიქცა. საშვალო ფასი ოთახისა 20—30 მანეთს აღემატება.

ამ რიგათ, სტუდენტობის ღარიბმა ნაწილმა ცივ და ნოტიო სარდაფებში უნდა თავი შეაფაროს...

ეს გარემოება ქართველ სტუდენტობისათვის მწარე მოვლენაა, რადგან ჩვენ სხეულს ძლიერ უჭირს ჩრდილოეთის ნოტიო სარდაფების აერის ატანა.

22 აგვისტოს შესრულდა 30 წელი, რაც რუსის გამოჩენილი მწერალი ი. ს. ტურგენიევი გადაიცვალა. ამ დღეს სუყველა გაზეთებმა გამოჩენილი მწერლის ხსოვნას ვრცელი წერილები უძღვნეს. მკითხველ საზოგადოებას მოაგონეს: თუ ვინ იყო, რა აზრით და რწმენით იყო განსჭვალული ი. ს. ტურგენევი და ამ დღესვე მის სახელობის სამკითხველოში პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდს დაესწრო მზრუნველი სამკითხველოსი და რამდენიმე ხმოსნები, ხოლო საზოგადოება, რომელიც მის ნაწერებზე არის აღზდილი, პანაშვიდს არ დასწრებია.

ასე სუსტათ და შეუმჩნევლათ ჩაიარა რუსეთის - ლიტერატურის გამოჩენილი მწერლის სიკვდილიდან 30 წლის თავმა.

**ენგანიძე.**

## რუსეთი.

**ნაციონალურ-პოლიტიკურ ჯგუფთა გაერთიანება.** აგვისტოს ბოლო რიცხვებში მშრომელმა ჯგუფმა მოიწვია საზოგადო მოღვაწეები და სხვადასხვა ჯგუფის გაერთიანების შესახებ კრება გამართა. გადაწყვიტეს შეაგროვონ ამის შესახებ მასალა და გაიგონ ნაციონალური საკითხის თანამედროვე მდგომარეობა თვითოეულ ერში. ახლო ხანში გაერთიანებულ პარტიათა და ჯგუფთა კრება მოხდება. ამ საკითხის შესახებ საანკეტო ფურცლები უკვე დაგზავნეს.

**ქალთა უმაღლესი კურსები.** წელს მოსკოვის ქალთა უმაღლეს კურსებზე 3196 ქალს უთხოვია ადგილი. 1500 ქალი უადგილობის გამო არ მიუღიათ. წელს სულ 23 ებრაელი ქალი მიუღიათ.

## უცხოეთი.

**იაპონია და ჩინეთი.** ნანკინში გენერალ ჯანის ბძანებით იაპონელები დახოცეს. იაპონელებმა ამის გამო ტოკიოში კრება მოახდინეს და პროტესტი განაცხადეს. გამოიტანეს ჩინეთის წინაამდეგ ზომების მიღების შესახებ რეზოლუცია. კრებას შემდეგ მონაწილენი გარეშე საქმეთა მი-

---

...იქვე დუქანთან, სადაც ჩვენი ეტლი ...შეჩერდა, ერთი თოთხმეტი წლის მოზარდი შემოგვხვდა, რომელიც ცოლიანი გამოდგა. და ამისთანა მაგალითები აქ ზემო რაჭაში იშვიათი არ არის. ბევრჯერ ...ლ-ვაჟს აკვანშივე დანიშნავენ და შემდეგ ამგვარათ დანიშნულნი უეჭველათ უნდა შეუღლდენ, რაც უნდა დაემართოს ან ქალს ან ვაჟს,—იმდენათ წმინდათ ასრულებენ დადებულ პირობას.

* * *

...გლოლას რომ გავცილდით, იმ ადგილს ...ვეუარეთ, რომელიც რაჭის ინტელიგენციის მიერ განზრახული სანატორიუმის ...ებათ არის დანიშნული. როგორც ...დილობრივმა დათვალიერებამ დაგვარწმუნა, ეს ადგილი, ზომით ოც დესეტინამდია, რომელსაც აქაურები „შოვს“ ...იან, მშვენიერი, მეტათ მოხერხებული, ბევრნაირათ შესაფერი, სხვადასხვა ...ების წყაროებით შემკული სამკურნალო ადგილია. და მართლაც, თუ რა...ლებს ბედმა გაუღიმა და აქ ახლო ...ავალში ჰლექიანთათვის რიგიანი სანატორიუმი გაიხსნა, ეს მათთვის და აგრეთვე სხვა კუთხის ქართველთათვისაც ...დიდათ სასარგებლო, დიდათ სა...რო საშვილიშვილო დაწესებულების ...ქნა იქნება.

...ვიდრე მეტათ ლამაზ ჰანჰახის მთას ...ვევდეთ, საიდანაც იმავე სახელის ...ინარე გამოდის და სადაც გზათა უწ...ის მგზავრთათვის, მთლად გლოლე...ის ხარჯით კი, ერთი თავშესაფარი ...ია, გზიდან მთელ წყებას თოვლიან ...ისას უცქერით: საკმაოთ მაღალს ...ლამაზსა კირტიშოს წვერსა, შემდეგ ...ი მეორესთან მწყობრათ ჩამწკრივე...თ კატის წვერსა, უპიროსა და ღურ...ის სკორეს და სხვადასხვა.

ხოლო რაც უფრო უახლოვდებით მამისონის უღელტეხილს და, მაშასადამე, რაც უფრო თანდათან ზევით ადიხართ, ბუნებაც თანაბრათ იცვლება—ტყეს ბუჩქნარი მოსდევს და შემდეგ კი მარტო საძოვარი და სათიბი კორდებილაა.

* * *

ჰანჰახიც სკორეს წარმოადგენს, რომლის ზედაპირი ქვა და მიწით დაფარულია. თვით სკორე არაფრით საყურადღებო არ არის და არც დიდი ზომისაა. ყოველ დეტალს ჰანჰახის მთისას მშვენიერათ ამჩნევთ თავშესაფარიდან—იმდენათ ახლოა იგი. მთის თოვლიან მწვერვალს ღამით მთვარის შუქზე დავაცქერდი და, უნდა მოგახსენოთ, შთაბეჭდილება, ბუნების ამ სურათიდან მიღებული, ძლიერი იყო, ალბათ იმიტომ, რომ ნაზი, მკრთალი, მოცისკროვნე სხივები მნათობისა ყოველნაირ სილამაზეს კიდევ უფრო ალამაზებს, ასხვაფერებს.

თავშესაფარს მეორე მხრით შორიდან დაჰყურებს ალაგ-ალაგ თოვლით შემოსილი ხამიჯაურის წვერი, რომელიც ისედაც მომხიბლველ საერთო სანახაობას ბუნებისას მშვენივრათ სრულ ქმნის.

თავშესაფარი ღამის გასათევი ბინაც არის და იმავე დროს გზადაბნეულთ მგზავრთა მხსნელი სადგური: დიდი ნისლის, თოვლ-ბუქის დროს, როდესაც ვერც გზას არჩევთ და ვერც ადამიანს, აქაური დარაჯი ზარის რეკვას ასტეხს და ამ საშუალებით ბინისკენ იწვევს.

ამგვარი სადგურები სამხედრო-ოსეთის გზაზე, მის უმაღლეს წერტილებზე, რამდენიმეა. აქაურ ხანგძლივ და სასტიკ ზამთარში ასეთი ბინა თავის ზარით ყოვლად აუცილებელია. რომ იგი არა, მრავალი მგზავრი ულმობელ ბუნების სხვერპლი შეიქმნებოდა.

* * *

ერთი ღამე ჰანჰახთან ასეთ თავშესაფერში გავათიეთ. აქედან მამისონის უღელტეხილამდი მხოლოდ ოთხი ვერსია, სულ აღმართი, რა თქმა უნდა. ჩვენც, დავტოვეთ თუ არა თავშესაფარი, ამ გოლგოთას შევუდექით. მივაწიეთ თუ არა რის ვაი-ვაგლახით უღელტეხილის თავს, ცივმა სუსხმა გვამცნო მყისვე, რომ ჩვენ გზის უმაღლეს წერტილზე ვიდექით. აქაც თავშესაფარია ზარით, ანუ, უფრო მართალი იქნება ვსთქვათ, პატარა სადარაჯო. მამისონის სიმაღლე, აქ 9281 (ფუტს უდრის. ჩვენ რომ იქ მივედით მარიამობისთვის დასაწყისი იყო და ამ დროს გზის პირათ, რამდენიმე ადგილს, კიდევ იდვა თოვლი საკმაოდ სქლათ. თოვლ-სიცივის მოლოდინში, ჩვენც, როგორც ქალაქის ჰაერით მოდუნებული და ნევრებით მოშვებულთ შეფერის, თავდარიგს დროით შეუდექით— ჯერ კიდევ სადგურზე გამოვსძებნეთ სათბურები.

აი. აქ მამისონზე, სწორეთ ამ მწვერვალზე თავდება საქართველო და იწყება ოსეთი, ეს საზღვარია თერგის ოლქისა და ქუთაისის გუბერნიის შორის. და რომ აქ საზღვარია, ამას ყოველი მგზავრი უგეოგრაფიოთაც ადვილათ ხვდება: როგორც კი მამისონს გასცილდებით, ვერსად ქვემოთ ვერც ერთს კერძო დუქანს, სამიკიტნოს ვერ შეხვდებით, სადაც ან ღვინო იშოვებოდეს, ან არაყი, ან რაიმე სხვა მაგარი სასმელი, რაიც იმის მიზეზია რომ თერგის ოლქში, როგორც მოგეხსენებათ ღვინის მონოპოლიაა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში არა. ამიტომაც ქართველმა, რომელიც უღვინოთ ინჯრას ვერ მიირთმევს, ამ საზღვრამდი, საქართველოშივე უნდა მოიმარაგოს ღვინო, თვარა ოსეთში ვარსად იყიდის.

**გრ. გველესიანი.**

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულია:
რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✦✦ იყიდება ზომიერ ფასათ ✦✦

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

| ბორჯომის წყალი | | 1 ბოთლი | 10 ბოთ. | ყუთი (ია?) |
| --- | --- | --- | --- | --- |
| | 1/2 | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 11 მ. 50 |
| | 1/2 | 16 1/2 კ. | 1 მ. 60 კ. | 15 მ. 75 |
| ნარზანი და ესენ-ტუკი № 20 | 1/2 | 14 1/2 კ. | 1 მ. 40 კ. | 13 მ. 50 |

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში.
# ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ტაკზე საფენი „ლინელოუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აურებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თ... ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.

ნისტრის ბინაზე მივიდენ. იქ ამათ მინისტრს შეატყობიეს თავისი გადაწყვეტილება. გრაფი ოკუმა და სხვა გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე თხოულობენ ჩინეთისათვის სამაგიეროს გადახდას იგონებენ 1908 წელს, როდესაც ორი გერმანელა მისიონეთი მოკლეს. მაშინ გერმანიას ამ მკვლელობის გამო ჩინეთის ტერიტორიაა დაუპყრია. იაპონელთა საზოგადოებრივი აზრი წინაალმდეგია, როგორც იუანშიკაის ისე სამხრეთლებისაც.

ტრედ-იუნიონების კრება. ინგლისში კონსერვატიულმა პარტიებმა სამხედრო ბეგარის შემოღების სასარგებლოთ აგიტაცია გააჩაღეს. კონსერვატორების ეს მოქმედება ტრედ-იუნიონების კრებამ სასტიკათ დაგმო. ტრედ-იუნიონების კომიტეტმა დაადგინა ყველა ქვეყნის მუშების კავშირებთან მოლაპარაკება გამართოს შეიარაღების წინაალმდეგ ბრძოლის შესახებ. პარლამენტის წევრმა უელტორლმა აღნიშნა, რომ ინგლისი ჯარსა და ფლოტზე ყოველ წლიურათ 700 მილიონ მანეთს ხარჯავსო. უკანასკნელ წლეებში შეიარაღებაზე ხარჯი 150 მილიონი მანეთით გაუდიდებია. ამ ფულითო, ამბობს, უელტონი შეიძლებოდა 70 ათასი მუშისთვის ბინა აგვეგო.

## ძირულის ხეობა.

ძირულის ხეობა ულამაზესი მხარეა ზემო-იმერეთში, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ მარტო ბუნების სილამაზე აღარ კმარა.

კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მგზავრზე მდ. ძირულას ჭალები და მაღლა ატყორცნილი მთები; მუხისა და წაბლის ხეებით შემოსილი სერები.

ამ ხეობაში ოთხი საზოგადოებაა: შროშის, ამაშუკეთის, ხუნევისა და ლიჩის თავი—3,500 მცხოვრებით.

ეს ბუნებით შემკული და მდიდარი მხარე ისეა ჩამორჩენილი სხვა საქართველოს კუთხეს, რომ სასოწარკვეთილებაში ჩავარდებით.

არ იქნა არ გამოჩნდა ერთი მადლიანი კაცი გზის გაკეთება ითავოს.

ძირულიდან სურამამდი რომ საურმე შარა იყოს ხალხის მდგომარეობა ბევრათ გაუმჯობესდებოდა. დღეს კი აუტანელ გაჭირვებაშია ეს კუთხე.

როგორც გავიგეთ, ბ. მეთ. ქათამაძეს ქონია სურვილი გზის გაკეთების, მაგრამ აღარაფერი ისმის.

ეს გზა მით უფრო საჭიროა, რომ ერთადერთია, რკინის გზას შემდეგ იმერეთიდან ქართლში გადასასვლელი; ამ გზით დაინტერესებული უნდა იყოს მთავრობაც, რადგან ძველი სამხედრო გზა დიდმა წყლობამ წალეკა.

მაგრამ ვის სცალია ჩვენთვის, ვინ იტკივებს თავს?!

მთელს ზემო-იმერეთში ერთი ხეირიანი გზა არ მოიპოება.

დიდი სარგებლობა შეუძლია ამ გზამ მოუტანოს მცხოვრებლებს; მარტო ერთი ხილიც კარგ შემოსავალს დატოვებდა, ღვინო, შეშა და სხვაც რომ არ ვიანგარიშოთ, რაც დღეს ძალიან ფასდაცემულია. განთქმული შროშის ჭურჭლეულიც ბაზარს მეტს მოიპოებდა ქართლ-იმერეთში.

ყველაფერი ეს ადვილათ შეეძლოთ ბბ. მომრიგებელ შუამავალს ალ. წერეთელს და მაზრის უფროს ოლხოვსკის, მაგრამ, ჩანს, გული არ გულობს.

ნიბლია.

რედაკ.-გამომცემელი გრ. ერ. ჭელიძე.

ამ შემოდგომაზე. ჭურებისთვის დაგჭირდებათ
საუკეთესო ცემენტი,
რომელიც შეგიძლიათ იშოვოთ მხოლოდ
ძმ. ე და პ. საკაშვილების სავაჭროში
ქუთაისში პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი. იქვე იყიდება: სახლის სღებავი მასალები, შპალიერი, კარისა და სარკმლის მოწყობილება და სხვა მრავალი საქონელი.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი პირველი
საბუღალტრო კურსები
ნ. ვ. აბრაამიანისა
(დაარსებულია 1895 წ.)

„სავაჭრო ბუღალტერიის სახელმძღვანელოს“ და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.

ორივე სქესისათვის. რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება კურსებზე სწავლა 4 თვე გაგძელდება.

მეცადინობა დაიწყება 15 სექტემბერს 1913 წ. კურსებზე სავალდებულოთ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუღალტერის, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურათ იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსილისა და ვაჭრების უფლებას—პოლიტიკური ეკონომია: ანგარიშს „სჩოტებზე“ და კალიგრაფიას, არა სავალდებულოთ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანითბეჭდას. მასწავლებლები—თავიასი საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულათ და თეორიულათ მომზადებულნი.

ატესტატები სამინისტროს ნებართვით სუსტათ მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებით მოსამზადებელი კლასები: რუსულ ენისთვის და ანგარიშისათვის.

კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდი. და საღამოს 5—7 საათამდი.

კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულათ და პრაქტიკულათ მომზადებულ ბუღალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს და კანტორის სხვადასხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავმდებობით. კურსებზე უსწავლია 2.000 კაცზე მეტს.

პირადათ და წერილობით მომართეთ კურსების დამაარსებელს თფილისში: ნიკოლოზის ქუჩა. 22, ს. ს. ტელეფონი 744.



ფორტეპიანის მოხელე და სპეციალური მომწყობი
პიანინოსა და როიალის.
ცოტა ხანს დაყოფს ქუთაისში გზათ.
თფილისიდან საზღვარგარეთ.
მისამართი: სასტუმრო „ფრანცია“ ტელეფონი № 103. ნახვა შეიძლება (1—1 1/2) პირველიდან ორის ნახევრამდი. სამუშაოს მიღება შეიძლება 1 ეკენისთვემდი.

საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის.
„პატოკსან“.
„პატოკსან“ შეიცავს 42 პროც. შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 640.
„პატოკსან“ საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება აქ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე).
„პატოკსან“ ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგათ ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას,
„პატოკსან“ ხელს უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.
„პატოკსან“ თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.

ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ. გაგზავნის დროს ყოველგვარი ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოთ იგზავნება ამიერ კავკასიისათვის.

ერთადერთი წარმომადგენელი ამიერ კავკასიისათვის „გეორგი რუსინოვ და ამხ.“ თფილისში ვერის დაღმართი № 12 ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს თფილისში“.

## რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის.

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.
**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.
**ფოთს:** საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.
**შორაპანს:** საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ.
**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. ... 45 წ. დღ.

ქუთაისს მოდის.

**თფილისი-დან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 2... საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. სა... სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.
**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 1... 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; ... 7 საათ. დილ-
**ფოთიდან:** საავგ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1... 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ.
**შორაპნიდან:** საავგ. 9 ს. 31 წ. დილ.
**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. ... საათ. 9 წ. დილ.

ქ. ქუთაისში (სობოროსთან
ა. თაბაგარის მაღაზიაში
20 ივლისიდან დანიშნულია
დიდი იაფი ვაჭრობა
ველოსიპედების და სხვ.



ამასთანავე მიღებულია დიდძალი საკერი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები და მათი მოწყობილობა.
ფასები ძლიერ დაკლებულია

სამკურნალო აბანო
მეირფასი მთის აერზე
ძმ. ყორყოლაძეების
ხრესილი.
ოქმენი თვალით იხილეთ თქვენ დარწმუნდებით.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

გ. მორდამის და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლ... უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის ... ბის ქარხნის, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКО...
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.